

აზერბაიჯანის სამართაშორისო ბანკი - საქართველო  
ფინანსური ანგარიშგების სამართაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშები და  
დაგოუპიდებელი აუდიტორის ანგარიში

31 დეკემბერი 2009 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშები

საბალანსო ანგარიში -----	1
შემოსავალ-ხარჯების ანგარიში -----	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიში -----	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში -----	4

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

1. შესავალი -----	5
2. ბანკის საოპერაციო გარემო -----	5
3. ანგარიშგების მნიშვნელოვანი პრინციპების რეზიუმე -----	6
4. ანგარიშგების კრიტიკული შეფასებები და განსჯები ანგარიშგების პოლიტიკის გამოყენებაში -----	11
5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება -----	12
6. ახალი ანგარიშგების განცხადებები -----	14
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ----	17
8. სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე -----	18
9. გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები -----	22
10. შენობები, მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები ----	23
11. სხვა ფინანსური აქტივები -----	24
12. სხვა აქტივები -----	24
13. ვალდებულებები სხვა ბანკების მომართ -----	25
14. კლიენტების ანგარიშები -----	26
15. სხვა ფინანსური ვალდებულებები -----	26
16. სხვა ვალდებულებები -----	27
17. სუბორდინირებული ვალი -----	27
18. სააქციო კაპიტალი -----	27
19. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი -----	28
20. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯი -----	28
21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები -----	29
22. საშემოსავლო გადასახადები -----	29

23. ფინანსური რისკის მართვა -----	30
24. კაპიტალის მართვა -----	37
25. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები -----	38
26. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება -----	40
27. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების და შეფასების კატეგორიების შეთანხმება -----	41
28. დაკავსირებულ პირთა ოპერაციები -----	41

**დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში**

**აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს დირექტორთა  
საბჭოს და აქციონერებს**

- ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს (შემდგომში მოხსენიებული როგორც “ბანკი”) თანხლები ფინანსური ანგარიშების, რომელიც შეადგენს საბალანსო ანგარიშს 2008 წლის 31 დეკემბრისათვის, მოგება-ზარალის ანგარიშს, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს იმავე დღეს დამთავრებული წლისათვის, მნიშვნელოვანი ანგარიშგების პოლიტიკის მოვლენებს და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

**ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებზე**

- ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე და სათანადო წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ეს პასუხისმგებლობა შეიცავს: ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სათანადო წარდგენის რეგულაციურ დაგეგმვას, განხორციელებას და შიდა კონტროლის შენარჩუნებას, რომ ანგარიშები თავისუფალი იყოს არსებითი დამახინჯებისგან, ტყუილის ან შეცდომის გამო; სათანადო ანგარიშგების პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, და ისეთი წინასწარი აღრიცხვის წარმოება, რომელიც გონივრულია ამ გარემოებებში.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

- ჩვენი პასუხისმგებლობაა – ჩვენ აუდიტზე დაყრდნობით ამ ფინანსურ ანგარიშებზე გამოვხატოთ მოსაზრება. ჩვენ აუდიტს ვატარებდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ეს სტანდარტები მოითხოვენ ჩვენ შესაბამისობას ეთიკურ მოთხოვნებებთან, აუდიტის დაგეგმვას და ჩატარებას იმის გონივრული გარანტიის მისაღებად, რომ ფინანსური ანგარიშები თავისუფალია არსებითი დამახინჯებისგან.
- აუდიტი შეიცავს პროცედურების განხორციელებას აუდიტის მტკიცებულების მისაღებად თანხებზე და გამხელებზე ფინანსურ ანგარიშებში. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშებში

ტყუილით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი დამახინჯების რისკის შეფასებაზე. ამ რისკის შეფასებისას აუდიტორი განიხილავს შინაგან კონტროლს, ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მომზადების და სათანადო პრეზენტაციის რელევანტურს იმისათვის, რომ დაიგემოს აუდიტის პროცედურები, რომლებიც სათანადოა ამ გარემოებებში, მაგრამ არა იმის მიზნით, რომ გამოითქვას მოსაზრება ეკონომიკური ერთეულის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე შეიცავს გამოყენებული ანგარიშების პოლიტიკის მართლზომიერების და წინასწარი აღრიცხვის გონივრულობის შეფასებას, გაკეთებულს ადმინისტრაციის მიერ, და ასევე ფინანსური ანგარიშების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

5. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარებისას მიღებული მონაცემები საკმარისია და სათანადოა, რათა მოგვცეს ჩვენი აუდიტორული დასკვნის საფუძველს.

### დასკვნა

6. ჩვენი აზრით, თანხლები ფინანსური ანგარიშგება ყველა მნიშვნელოვან ასპექტში ობიექტურად წარმოადგენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრისთვის, მის ფინანსურ შედეგს და მისი ფულადი სახსრების მოძრაობას დასრულებული წლის ბოლოსათვის და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

11 მაისი, 2010 წლი  
თბილისი, საქართველო

**საბალანსო ანგარიში**

<i>ქართულ ლარებში</i>	შენიშნა	31 დეკემბერი 2009	31 დეკემბერი 2008
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი	7	50,663,520	4,663,288
სავალდებულო ფულადი სახსრების ნაშთი სებ-ში		516,736	718,019
სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე	8	17,532,741	24,762,328
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	9	54,000	54,000
შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები	10	7,659,570	7,703,207
სხვა ფინანსური აქტივები	11	24,394	36,159
სხვა აქტივები	12	16,874	211,854
<b>სულ აქტივები</b>		<b>76,467,835</b>	<b>38,148,855</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები სხვა ბანკების მომართ	13	6,611,719	10,010,161
კლიენტების ანგარიშები	14	51,977,623	9,503,199
სხვა ფინანსური ვალდებულებები	15	133,608	188,641
სხვა ვალდებულებები	16	327	45,464
სუბორდინირებული ვალი	17	8,429,000	8,335,000
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>67,152,277</b>	<b>28,082,465</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	18	12,000,000	12,000,000
აკუმულირებული დეფიციტი		(2,684,442)	(1,933,610)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>9,315,558</b>	<b>10,066,390</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>		<b>76,467,835</b>	<b>38,148,855</b>

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით **2010 წლის 11 მაისი**.

სამირ ველიევი  
გენერალური დირექტორი

ნელი წიკლაური  
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები გვერდებზე 5-41 შეადგენენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**მოგება-ზარალის ანგარიში**

<i>ქართულ ლარებში</i>	შენიშვნა	2009	2008
საპროცენტო შემოსავალი	19	2,528,306	3,404,018
საპროცენტო ხარჯი	19	(1,261,779)	(730,521)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>1,266,527</b>	<b>2,673,497</b>
სესხის გაუფასურების რეზერვი	8	(1,536,228)	(2,982,672)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების</b>		<b>(269,701)</b>	<b>(309,175)</b>
<b>გაუფასურების რეზერვების შემდეგ</b>			
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	20	1,088,626	641,068
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	20	(177,827)	(199,463)
მოგება-ზარალი უცხოური ვალუტით		857,710	1,223,039
ვაჭრობიდან			
მოგება-ზარალი უცხოური ვალუტის		(6,631)	(890,216)
გადაფასებიდან			
შენობა-ნაგებობების, დანადგარების და	10	(231,064)	(391,726)
აღჭურვილობის გაუფასურება			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	21	(2,011,945)	(1,547,607)
ხარჯები			
<b>ზარალი გადასახადის გადახდამდე</b>		<b>(750,832)</b>	<b>(1,474,080)</b>
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	22	-	(30,159)
<b>მთლიანი წლის ზარალი</b>		<b>(750,832)</b>	<b>(1,504,239)</b>

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

ქართულ ლარებში	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული დეფიციტი	სულ საკუთარი კაპიტალი
ბალანსი 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მთლიანი წლის ზარალი	12,000,000 -	(429,371) (1,504,239)	11,570,629 (1,504,239)
ბალანსი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი წლის ზარალი	12,000,000 -	(1,933,610) (750,832)	10,066,390 (750,832)
ბალანსი 2009 წლის 31 დეკემბერს	12,000,000	(2,684,442)	9,315,558

---

შენიშვნები გვერდებზე 5-58 შეადგენენ ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანბარიში**

<i>ქართულ ლარებში</i>	შენიშვნა	2009	2008
<b>ნაღდი ფული, რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში</b>			
მიღებული პროცენტი		2,673,039	2,541,151
გადახდილი პროცენტი		(1,229,406)	(727,662)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	20	1,088,626	618,116
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	20	(177,827)	(199,463)
უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		857,710	1,223,039
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,804,946)	(1,446,220)
გადახდილი ჯარიმები		-	(55,536)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		-	(22,392)
<b>ფულადი სახსრები, გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში, საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე</b>		<b>1,407,196</b>	<b>1,931,033</b>
<b>საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებები</b>			
საავადმუშელო ფულადი სახსრების წმინდა შემცირება სებ-ში		201,283	102,372
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების წმინდა შემცირება/ზრდა		5,693,359	(18,252,657)
სხვა ფინანსური აქტივების წმინდა შემცირება/ზრდა		36,159	269,915
სხვა აქტივების წმინდა ზრდა			
სხვა ბანკებისადმი ვალდებულებების წმინდა შემცირება/ზრდა		(10,677)	(5,300)
კლიენტების ანგარიშების წმინდა შემცირება/ზრდა		(3,398,442)	10,007,293
სხვა ფინანსური ვალდებულებების წმინდა შემცირება/ზრდა		42,474,424	(34,708,235)
სხვა ფინანსური ვალდებულებების წმინდა შემცირება/ზრდა		(55,033)	65,156
სხვა ვალდებულებების წმინდა შემცირება/ზრდა		(45,137)	6,316
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>46,303,132</b>	<b>(42,515,140)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ქონებისა და აღჭურვილობის შექენა	10	(143,878)	(908,508)
სარეალიზაციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა	9	-	(54,000)
არამატერიალური აქტივების შექენა	10	(44,890)	(49,550)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(188,768)</b>	<b>(1,012,056)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან</b>			
სუბორდინირებული ვალის წარმოშობა	15	-	1,418,000
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>-</b>	<b>1,418,000</b>
<b>სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე</b>		<b>(114,132)</b>	<b>(102,869)</b>
<b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების სუფთა შემცირება/ზრდა</b>		<b>46,000,232</b>	<b>(40,281,032)</b>
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	4,663,288	44,944,320
<b>ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასასრულს</b>	7	<b>50,663,520</b>	<b>4,663,288</b>



---

შენიშვნები გვერდებზე 5-41 შეადგენენ ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშები იქნა მომზადებული ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის-საქართველოს (“ბანკი”) 2009 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ბანკი დარეგისტრირებულია და განლაგებულია საქართველოში. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, განსაზღვრული აქციებით და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

ბანკის უშუალო დამფუძნებელია აზერბაიჯანის საერთა-შორისო ბანკი (რეგისტრირებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში), რომელიც 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს ბანკის ჩვეულებრივი აქციების 75%. ბანკი იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის პირადპირი კონტროლის ქვეშ.

**ძირითადი საქმიანობა.** ბანკის ძირითადი საქმიანობაა კომერციული და საცალი საბანკო ოპერაციები საქართველოში. ბანკი მოქმედებს სრული საბანკო ლიცენზიით, რომელიც გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის (“სსპ”) მიერ 2007 წლის თებერვლიდან.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია ფილიალები (2008 წლის 31 დეკემბერი- არ აქვს ფილიალები).

**რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** ბანკის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0105, ლეონიძის ქუჩა, 1.

**საპრეზენტაციო ვალუტა.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართულ ლარებში (“GEL”). ქართული ლარი (“GEL”) საქართველოს ოფიციალური ვალუტაა.

დირექტორთა საბჭოს, რომელმაც მოიწონა ეს ფინანსური ანგარიში, აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები ფინანსურ ანგარიშებში გამოქვეყნების შემდეგ.

## 2. ბანკის საოპერაციო გარემო

2009 წელი მედატ დაძაბული იყო საქართველოსთვის, იმდენად, რამდენადაც ქვეყანაზე მნიშვნელოვნად დიდი ზეგავლენა იქონია 2008 წლის აგვისტოს საომარმა კინფლიქტმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. წლის პირველ ნახევარში აღინიშნებოდა მერყევი პილიტიკური სიტუაცია, დაბალი ინვესტიციები, როგორც საგარეო, ასევე საშინაო და ძალიან შეძლადული საბანკო სესხები ქვეყანაში შენელებულ ეკონომიკურ აქტიურობა. მთავრობამ შეძლო შეენერჩუნებინა ეკონომიკა დონორი ფონდების გამოყენების

საშუალებით, უპირველესად ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სოციალურ პროგრამებში.

წლის მეორე ნახევარში პილიტიკური სიტუაციაში ჩანდა სტაბილიზაციის ნიშნები და ეკონომიკაში ჩანდა აღდგენის ტენდენცია, მაგრამ შიდა გარემო რჩება სუსტი ექსპორტის ბაზრის ზრდის ბაჩევენებლებით და საექვო კერძო კაპიტალის შემოდინების აღდგენის მხრივ. გარდა ამისა, შიდა საკრედიტო პირობები ჯერაც საკმაოდ შეზღუდული იყო და მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი იკლებდა.

2009 წელს იყო ეკონომიკის ვარდნა მშპ-ს 4 %-იან შემცირებასთან ერთად. ეს ვარდნა უფრო დიდი იქნებოდა საერთაშორისო დონორების მიერ 4.5 მილიარდ აშშ დოლარიანი შემონატანის გარეშე. ყოველწლიური ინფლაციის კოეფიციენტი შენარჩუნდა განსაკუთრებით დაბალი 3%, 5.5%-თან შედარებით 2008 წელს და 11%-თან შედარებით 2007 წელს. გარდა ამისა 2009 წლის სექტემბერში ფიტჩის რეიტინგი ამტკიცებს საქართველოს გრძელვადიან უცხოური და ადგილობრივი ვალუტის დეფიციტის წარმოშობის რეიტინგს B+-ში და ვალუტის ზედა ზღვარი მიღწეულ იქნა B+-დან BB-ში, მტკიცე გარეგნობით, რეიტინგი რომელიც წინ უძღოდა 2008 წლის სამხედრო კონფლიქტს

საქართველოს მომავალი ეკონომიური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ეფერტურ ეკონომიკაზე, მთავრობის მიერ მიღებულ ფინანსურ და ფულად ზომებზე, გადასახადებთან, კანონთან, რეგულირებასთან და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად. საშინაო და რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის და მნიშვნელოვანია ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს მუდმივი გაუმჯობესება და საქართველოს დაბუნება ინვესტორებისათვის რუკაზე.

ბანკის მსესხებლებზე საზიანოდ იმოქმედა ფინანსურმა და ეკონომიკურმა გარემომ, რამაც საბოლოოდ იმოქმედა ვალდებულებების გადახდაზე. გაუარესებული ეკონომიკური პირობები მსესხებლებისათვის აისახა გაუფასურების მოსალოდნელ მომავალი ვულადი სახსრების მოძრაობის გადასინჯვაში.

მრავალი სახის უზრუნველოფის ბაზარზე საქართველოში, განსაკუთრებით უძრავი ქონების ბაზარზე, სათანადო ზემოქმედება მოახდინა მერყევა გლობალურმა ფინანსურმა ბაზრებმა, რისი შედეგიცაა მსგავსი ტიპის აქტივების დაბალი ლიკვიდობა. შედეგად უზრუნველოფის რეალური სარეალუზაციო ღირებულება განსხვავდება ღირებულებისაგან შეფასებული დაზაშვები გაუფასურებით. გაუფასურებული სესხებზე რეზერვის მოცულობა დაფუძნებულია ბანკის მენეჯმენტის შეფასებაზე, რომელიც განიხილება ანგარიშგების შემდგომ ფულადი სახსრების მოძრაობის შედეგად, რაც გაეღენას ახდენს გასაყიდი უზრუნველოფის ღირებულებაზე. შასარგებლოა, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ბანკის მენეჯმენტი სათანადოდ ასახავდა გადამოწმებულ შეფასებას მოსალოდნელ მომავალ გაუფასურების ფულადი ნაკადაბის მოძრაობას.

ბანკის მენეჯმენტისთვის შეუძლებელია საიმედოდ განსაზღვროს ბანკის მომავალი ფინანსური მდგომარეობის შედეგი ნებისმიერი სამომავლო პოტენციური ფინანსური ბაზრების ლიკვიდურობის გაუარესებისა და სავალოტო და მოქმედ ბაზრებზე გაზრდილ მეყოობისა. ბანკის მენეჯმენტს სწამს, რომ ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას დანაკარგის მიღების თავიდან აცილებისათვის და არსებულ ვითარებაში ბანკის საქმიანობის გაზრდასათვის.

### 3. ანგარიშწარმოების მნიშვნელოვანი პრინციპების რეზიუმე

მომზადების ბაზისი. ეს ფინანსური ანგარიშები მომზადებულ იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) მიხედვით, საწყისი ღირებულების მეთოდით. ქვემოთ ჩამოყალიბებულია ანგარიშწარმოების ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოყენებული იყო ამ ფინანსური ანგარიშების მომზადებისას.

**შეფასების ძირითადი პირობები.** ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით შეიტანება სამართლიან ღირებულებაში ან ამორტიზირებულ ღირებულებაში, როგორც აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელზეც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ან, რომელითაც შეიძლება ვალდებულება დაიფაროს, კარგად გათვითცნობიერებულ, მსურველ დამოუკიდებელ მხარეთა შორის კომერციულ ოპერაციაში. სამართლიანი ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზებული ფასი და ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი, კოტირებული მოქმედ ბაზარზე. კომპენსირებული საბაზრო რისკის მქონე აქტივების და ვალდებულებებისათვის ბანკს შეუძლია გამოიყენოს ბაზრის საშუალო ფასები, როგორც სამართლიანი ღირებულებების დაწესების ბაზისი კომპენსირებული რისკის პოზიციებისათვის და ასევე მყიდველის ან გამყიდველის ფასი სუფთა ღია პოზიციისთვის, როგორც შესაფერისია. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც კოტირებული მოქმედ ბაზარზე, თუ კოტირებული ფასები ადვილად და რეგულარულად ხელმისაწვდომია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებებიდან და ეს ფასები წარმოადგენენ ნამდვილ და რეგულარულად მომხდარ საბაზრო გარიგებებს დამოუკიდებელ მხარეთა შორის.

შეფასების მეთოდის, ისეთი როგორც დისკონტური ფულადი სახსრების ნაკადების მოდელი ან მოდელები, დამყარებული ბოლო გარიგებაზე დამოუკიდებელ მხარეთა შორის, ან ინვესტირების ობიექტის ფინანსური მონაცემების განხილვაზე, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიმართ, რომლებისთვისაც გარეშე ბაზრის ფასწარმოქმნის ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდის შეიძლება დასჭირდეს დაშვებები, რომლებსაც არ ანმტიცებს თვალმისაწვდომი ბაზრის ინფორმაცია. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებში ინფორმაციის გამხელა ხდება, თუ ასეთი დაშვებების ცვლილებას გონივრულ შესაძლო ალტერნატივად შეუძლია გამოიწვიოს მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა აღიარებული პირველად აღიარებულებას

მინუს ნებისმიერი გადახდები ძირითადი ვალის დასაფარავად, პლიუს დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივებისათვის - მინუს ნებისმიერი გაწეული გაუფასურების ზარალის ჩამოწერა. დაგროვილი პროცენტი შეიცავს საოპერაციო დანახარჯების ამორტიზაციას, გადავადებულს პირველი აღიარებისას და ვადა-დამდგარი თანხის ნებისმიერი პრემიას ან დისკონტს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი ან დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, დაგროვილი კუპონის და ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (მათ შორის წარმოქმნისას გადავადებულ გასამრჯელოებს, თუ ასეთი არსებობს), არ არიან წარმოდგენილი ცალ-ცალკე და შეიტანება შესაბამისი საბალანსო ანგარიშის საბალანსო ღირებულების სტატიებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის ან საპროცენტო დანახარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღრიცხავს ნაღდი ფულის შეფასებულ მომავალ გადახდას ან მიღებას (მომავალი საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის განმავლობაში, ან უფრო მოკლე პერიოდში, თუ სათანადოა, ფინანსური ინსტრუმენტის სუფთა საბალანსო ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აღრიცხავს ფულადი სახსრების მოძრაობას ცვლადი საპროცენტო ინსტრუმენტების საპროცენტო ფასის შემდეგი ხელახალი დადგენის თარიღზე, გარდა პრემიისა ან დისკონტის, რაც ასახავს კრედიტს თავისუფლად მერყევი განაკვეთით, დაკონკრეტებულს ინსტრუმენტში, ან სხვა ცვლადების, რომლებიც არ არიან მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირდება ინსტრუმენტის მთლიანი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა შეიცავს ყველა გასამრჯელოს გადახდილს ან მიღებულს კონტრაქტის მხარეთა შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხ. შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა).

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით დასაწყისში ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი დასაწყისში ფიქსირდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო დანახარჯები. საწყის აღიარებაზე სამართლიანი ღირებულების საუკეთესო დემონსტრაციაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი საწყის აღიარებისას ფიქსირდება მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობა, რაც შეიძლება იყოს დადასტურებული სხვა ყურადსაღები მიმდინარე საბაზრო გარიგებით იმავე ინსტრუმენტში ან შეფასების მეთოდით, რომელშიც შეიყვანება მხოლოდ ხელმისაწვდომი ბაზრების მონაცემები.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს მიწოდებას წესებით ან ბაზრის ტრადიციით დადგენილ დროის ინტერვალში (ყიდვა-გაყიდვის “რეგულარული მეთოდი”) ფიქსირდება გარიგების თარიღით, რაც წარმოადგენს თარიღს,

რომელშიც ბანკი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ფინანსური აქტივი. ყველა დანარჩენი ყიდვა-გაყიდვის აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღით, ვალდებულების დღეს და ანგარიშსწორების დღეს შორის ღირებულების ცვლილებით არა აღიარებული აქტივებისათვის, გადატანილს ღირებულებაში ან ამორტიზირებულ ღირებულებაში, მოგებაში ან ზარალში აღიარებული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების, დერივატივების და სხვა ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაში მოგების ან ზარალის მეშვეობით, და აღიარებული საკუთარ კაპიტალში გასაყიდად ხელმისაწვდომად კლასიფიცირებულ აქტივებისათვის.

### **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ისეთი საკითხებია, რომლებიც ადვილად კონვერტირდებიან ნაღდი ფულის ცნობილ თანხებში და რომლებსაც აქვთ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ყველა მოკლევადიანი ბანკთაშორისი დაბანდებები, გარდა ოვერნაით დაბანდებისა, ჩართულია სხვა ბანკებიდან მისაღებ თანხებში. თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ლიმიტირებული ხასიათის ფონდებთან, გამოირიცხება ფულადი სახსრებიდან და ფულადი სახსრების ეკვივალენტებიდან. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შეიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში.

**სებ-ის მიერ დადგენილი სავალდებულო ფულადი სახსრების ნაშთი უცხოურ ვალუტაში.** სებ-ის მიერ დადგენილი აუცილებელი ფულადი სახსრების ნაშთი ლარებში და უცხოურ ვალუტაში გადაიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში და წარმოადგენს უპროცენტო აუცილებელ სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დაფინანსებისთვის, და ამიტომ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის არ განიხილება როგორც ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნაწილი.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.** სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე ფიქსირდება, როდესაც ბანკი ასესხებს ფულს, რათა იყიდოს ან გასცეს არაკოტირებული არა-წარმოებული მისაღები თანხა კლიენტისგან, რომელიც ექვემდებარება გადახდას ფიქსირებულ ან განსაზღვრულ თარიღზე და დებიტორული დავალიანებით ვაჭრობის განზრახვა არა აქვს. სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე გადაიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში.

როდესაც ხდება გაუფასურებული ფინანსური აქტივების გადაფასება და გადახედვის შედეგად განსაზღვრული პირობები არსებითად განსხვავდება წინა პირობებისგან, ახალი აქტივის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება, გადატანილი ამორტიზირებულ ღირებულებაში.** გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, რომელსაც ის განიცდის ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის ზემოქმედების შედეგად (“ზარალის მოვლენები”), და რომელიც მოქმედებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის

შეფასებული მომავალი ფულადი სახსრები მოძრაობის რაოდენობაზე ან დროზე, რომლებიც საიმედოდ შეიძლება შეფასდეს. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ არ არსებობს არავითარი ობიექტური დასტური იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებულმა ფინანსურმა აქტივმა განიცადა მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურება, ის ჩართავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში ისეთივე საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურებას. პირველადი ფაქტორები, რომლებსაც ბანკი განიხილავს ფინანსური აქტივების გაუფასურების დასადგენად - ეს მათი ვადაგადაცილებული სტატუსია და მათთან დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზებადობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აგრეთვე გამოიყენება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები იმის დასადგენად, რომ არსებობს ობიექტური დადასტურება იმისა, რომ გაუფასურების ზარალი მოხდა:

- შესატანი ვადაგადაცილებულია და დაგვიანებული გადახდა არ შეიძლება მიეწეროს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებას;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სიმძვინვარებას, რაც დასტურდება ბანკის მიერ მსესხებლისაგან მიღებული ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი ითვლება გაკოტრებულად ან ხდება მისი ფინანსური რეორგანიზაცია;
- მსესხებლის გადახდის სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განპირობებულია ეროვნულ ან ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების შედეგად, რომლებიც მოქმედებენ მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად ეცემა გაუარესებული საბაზრო პირობების შედეგად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები ჯგუფდებიან ერთნაირი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები ასეთი აქტივების ჯგუფების მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების რელევანტურია, რადგან მიუთითებს მოვალეების უნარზე გადაიხადონ ყველა გადახდას დაქვემდებარებული თანხები, შეფასებული აქტივების კონტრაქტის პირობების თანახმად.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების ჯგუფში მომავალი ფულადი სახსრების ნაკადები ფასდება აქტივების კონტრაქტული ფულადი სახსრების ნაკადების საფუძველზე და ადმინისტრაციის გამოცდილებაზე იმის მიმართ, თუ რამდენად გადავადდებიან თანხები წარსული ზარალის მოვლენების და გადავადებული თანხების აღდგენის წარმატების შედეგად. წარსული გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე საყურადღებო მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე პირობების ეფექტები, რომლებიც არ მოქმედებენ წარსულ პერიოდებზე, და მოაცილოს წარსული პირობების ეფექტები, რომლებიც ამჟამად არ არსებობენ.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება დაშვების ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს სავარაუდო ნაღდი ფუფუნადი სახსრების ნაკადის მიმდინარე ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს მომავალ საკრედიტო ზარალს, რომელიც არ იყო განცდილი), აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულს. შეფასებული მომავალი ფულადი

სახსრების ნაკადებში უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაგირავებულ ქონებაზე გამოსყიდვის უფლების დაკარგვის შედეგი მინუს უზრუნველყოფის მიღების და გაყიდვის ხარჯები, არის თუ არა შესაძლო დაგირავებულ ქონებაზე გამოსყიდვის უფლების დაკარგვა. თუ, მომდევნო პერიოდში, გაუფასურების ზარალის თანხა დაეცემა და ეს დაცემა შეიძლება იყოს ობიექტურად დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგ., მოვალის კრედიტუნარიანობის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლის ნიშანს დაშვების ანგარიშის კორექტირებით მოგების ან ზარალის მეშვეობით.

შეუგროვებელი აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვიდან, აქტივის აღდგენის ყველა აუცილებელი პროცედურების დამთავრების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

**კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები.** ბანკი იღებს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს აკრედიტივების და ფინანსური გარანტიების ჩათვლით. ფინანსური გარანტიები წარმოადგენენ უპირობო სავალდებულო გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების შესრულებას მესამე მხარისადმი; მათ გააჩნიათ ისეთივე საკრედიტო რისკი, როგორც სესხებს. ფინანსური გარანტიების და სესხის გაცემის ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული გასამრჯელოს თანხით. ეს თანხა ვალდებულების ვადის განმავლობაში პროპორციულად ამორტიზირდება, გარდა ისეთი ვალდებულებებისა, როდესაც სესხის გაცემის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ბანკმა დადოს სპეციფიკური სესხის შეთანხმება და არ ვარაუდობს წარმოქმნილი სესხის გაყიდვას მისი გაცემიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის ვალდებულების გასამრჯელოები გადავადდებიან და შეიტანებიან საბალანსო ღირებულებაში სესხის საწყის აღიარებისას.

**ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.** ბანკი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოისყიდება ან აქტივებისგან ფულადი სახსრების ნაკადების უფლებებს სხვანაირად გაუვა ვადა, ან (ბ) ბანკი გადასცემს აქტივებისგან ფულადი სახსრების ნაკადების უფლებებს ან შევა კვალიფიციურ გამჭოლ შეთანხმებაში, როდესაც (1) აგრეთვე გადასცემს აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და გასამრჯელოს, ან (2) არც გადასცემს არც დაიტოვებს აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკს და გასამრჯელოს, მაგრამ არ დაიტოვებს კონტროლს. კონტროლი დაიტოვება, თუ შემხვედრ მხარეს არ აქვს პრაქტიკული უნარი მიყიდოს აქტივი მთლიანობაში არა-აფილირებულ მესამე მხარეს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე.

**შენობები და აღჭურვილობა.** შენობებს და აღჭურვილობას მიუთითებენ ღირებულებაში მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების რეზერვი, სადაც ეს საჭიროა.

მიმდინარე მშენებლობა შეიტანება თვითღირებულებით, მინუს გაუფასურების რეზერვი, სადაც ეს საჭიროა. ეს თვითღირებულება

შეიცავს სპეციფიკური ან ზოგადი ფინანსური სახსრების სესხად აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც აღებულია კვალიფიცირებადი აქტივების მშენებლობისთვის. დასრულების შემდეგ, აქტივები გადაიტანება შენობებში და აღჭურვილობაში მათი საბალანსო ღირებულებით. მიმდინარე მშენებლობა არ ამორტიზირდება, სანამ აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად.

ხარჯები მცირე რემონტზე და შენახვაზე შეიტანება ხარჯებში მაშინ, როდესაც გაწეულია. შენობების ან აღჭურვილობის დიდი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი მოცილდება.

გაუფასურების შემთხვევაში შენობები და აღჭურვილობა ჩამოიწერება მათი სარგებლობის ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მინუს გაყიდვის ხარჯები, რომელიც უმაღლესია. საბალანსო ღირებულების შემცირება მიეწერება მოგებას ან ზარალს. აქტივის წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლის ნიშანს, თუ მოხდა ცვლილება შეფასებებში, რომლებიც იყო გამოყენებული აქტივის სარგებლობის ღირებულების დასადგენად ან სამართლიანი ღირებულების მინუს ხარჯები გაყიდვაზე.

რეალიზაციის მოგება და ზარალი, განსაზღვრული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

**ამორტიზაცია.** მიწა არ ამორტიზირდება. ამორტიზაცია შენობების და აღჭურვილობის სხვა მუხლებზე გამოითვლება თანაბარ-ზომიერი დარიცხვის მეთოდით, რათა მათი ღირებულება გადანაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებებზე მათი შეფასებული სასარგებლო ვადის განმავლობაში, ასეთნაირად:

შენობები	5%
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	25%
ავეჯი, მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობა	25%
ავტომობილები	25%
იჯარით აღებული საკუთრების გაუმჯობესება	საბაზო იჯარის ვადის ზემოთ

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული თანხა, რომლის მიღება შეუძლია ბანკს ამ აქტივის გაყიდვით მინუს გაყიდვის შეფასებული ხარჯები, თუ ეს აქტივი ისეთი ხნოვანებისაა და ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ ბანკი ვარაუდობს აქტივის გამოყენებას მისი ექსპლუატაციის ფიზიკური ვადის ბოლომდე. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საბალანსო ანგარიშის დღეს.

**არამატერიალური აქტივები.** ბანკის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასარგებლო გამოყენების ვადა; ისინი უპირველესად შეიცავენ კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას.



კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფისათვის შექმნილი ლიცენზიები კაპიტალიზირებულია იმ ხარჯების საფუძველზე, რაც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე და გამოყენებამდე მიყვანაზე. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები, დაკავშირებული კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მაგ. მის მოვლასთან, იხარჯება მაშინ, როდესაც გაწეულია. კაპიტალიზირებული კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზირდება მოსალოდნელი სასარგებლო ვადის პროპორციულად ოთხიდან ხუთ წლამდე.

**საოპერაციო იჯარა.** როდესაც ბანკი მეიჯარეა იჯარაში, რომელშიც იჯარის გამცემი არ გადასცემს ბანკს არსებითად ყველარისკს და წახალისებას, რაც საკუთრებისთვისაა დამახასიათებელი, მთლიანი იჯარის გადახდა მიეწერება მოგებას ან ზარალს პროპორციულად იჯარის პერიოდში.

**ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ.** სხვა ბანკების მიმართ ვალდებული თანხები, ფიქსირდება, როდესაც ფული ან სხვა აქტივი ავანსად მიეცემა ბანკს შემხვედრი ბანკის მიერ. არაწარმოებული ვალდებულება გადაიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში. თუ ბანკი ყიდულობს თავის საკუთარ ვალს, ის ჩამოირიცხება საბალანსო ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციას შორის შეიტანება მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიქმნება ვალის დაფარვიდან.

**კლიენტის ანგარიშები.** კლიენტის ანგარიშები არაწარმოებული ვალდებულებებია კერძო პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების მიმართ და შეიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში.

**სუბორდინირებული ვალი.** სუბორდინირებული ვალი შეიცავს გრძელვადიან არა-წარმოებულ ვალდებულებებს ფინანსური დაწესებულებების მიმართ და შეიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში. სუბორდინირებული ვალის დაფარვა ხდება ყველა სხვა ვალდებულების შემდეგ და შეიტანება ბანკის “2 რიგის კაპიტალში”.

**საშემოსავლო გადასახადები.** საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშებში საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რომელიც მიღებულია ან არსებითად მიღებულია საბალანსო ანგარიშის თარიღისთვის. საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა შეადგენს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პირდაპირ საკუთარ კაპიტალშია აღიარებული, რადგან ის მიეკუთვნება გარიგებებს, რომლებიც იმავე ან სხვა პერიოდში აგრეთვე აღიარებულია პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი ისეთი თანხაა, რომელიც სავარაუდოდ გადახდილია საგადასახადო ადმინისტრაციისათვის ან მიღებულია მისგან დასაბეგრი მოგების ან ზარალის მიმართ მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგებები ან ზარალი დამყარებულია შეფასებებზე, თუ ფინანსური ანგარიშები ოფიციალურად მიღებულია

რელევანტური საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი, ფიქსირდება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი გაიცემა საბალანსო ანგარიშის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით წინ გადატანილი გადასახადის ზარალისთვის, და დროებითი სხვაობების, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. საწყისი აღიარებისგან განთავისუფლების თანახმად, გადავადებული გადასახადები არ ფიქსირდება დროებითი სხვაობებისთვის აქტივის ან ვალდებულების საწყის აღიარებისას გარიგებაში, გარდა კომპანიების გაერთიანებისა, თუ საწყისში დაფიქსირებული გარიგება არ ახდენს გავლენას არც საბუღალტრო, არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადების ბალანსები ფასდება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მიღებულია ან არსებითად მიღებულია საბალანსო ანგარიშის თარიღისთვის, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენება იმ პერიოდისთვის, როდესაც დროებითი სხვაობები ნიშანს შეიცვლიან ან იქნება გამოყენებული საგადასახადო ზარალის წინ გადატანა. გადავადებული გადასახადის აქტივები დასაქვითი დროებითი სხვაობებისთვის და წინ გადატანილი საგადასახადო ზარალი ფიქსირდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შესაძლოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება იქნება ხელმისაწვდომი, რომლის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული დაქვითვები.

**გაურკვეველი საგადასახადო სტატუსი.** ბანკის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსი ხელახლა ფასდება ადმინისტრაციის მიერ ყოველი საბალანსო ანგარიშის დღეს. ვალდებულებები ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებისთვის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულია, რომ ისინი სავარაუდოდ უფრო გამოიწვევენ დამატებითი გადასახადებით დაბეგვრას ვიდრე არა, თუ საგადასახადო ადმინისტრაცია ამ პოზიციებს შეედავება. ეს შეფასება ხდება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლებიც მიღებულია ან არსებითად მიღებულია საბალანსო ანგარიშის თარიღისთვის და ნებისმიერი ცნობილი სასამართლო ან სხვა დადგენილებით ასეთ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტზე და გადასახადებზე, გარდა საშემოსავლო გადასახადის, აღიარდება ადმინისტრაციის მიერ იმ ხარჯის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც საჭიროა ვალდებულებების გადასახადად საბალანსო ანგარიშის თარიღზე.

**ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი.** ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი – ეს გაურკვეველი დროის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. ისინი გროვდება, როდესაც ბანკს აქვს ნამდვილი სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წინა მოვლენების შედეგად. შესაძლოა, რომ რესურსების გადინება, რომელიც შეიცავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც იქნება საჭირო ვალდებულების დასაფარად, და შეიძლება გაკეთდეს ამ ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. შემოსავალი და ხარჯი პროცენტის სახით ფიქსირდება მოგება-ზარალის ანგარიშში ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ახდენს გადავადებას, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი,

ყველა გასამრჯელოს გადახდილს ან მიღებულს კონტრაქტორ მხარეთა შორის, რომლებიც არიან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნაწილი, საოპერაციო დანახარჯებს და სხვა პრემიებს ან დისკონტებს.

ეფექტური საპროცენტი განაკვეთის განუყოფელი გასამრჯელო შეიცავს ეკონომიკური სუბიექტის მიერ მიღებულ ან გადახდილ საკომისიო გასამრჯელოს, რომელიც ეხება ფინანსური აქტივის შექმნას ან შექმნას ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებას. მაგ., კრედიტუნარიანობის შემოწმების გასამრჯელო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასება და დაფიქსირება, პირობებზე მოლაპარაკება და გარიგების საბუთების დამუშავება. საკომისიო გასამრჯელო მიღებული ბანკის მიერ სესხების ბაზრის საპროცენტო განაკვეთზე გაცემისათვის, ეფექტური საპროცენტი განაკვეთის განუყოფელი შემადგენელია, თუ შესაძლოა, რომ ბანკი შევა კონკრეტულ სესხის შეთანხმებაში და არ ვარაუდობს, გაყიდოს სესხი მალევე მისი წარმოქმნის შემდეგ. ბანკი მოგებისა-ზარალის მეშვეობით არ აღნიშნავს სესხის გაცემის შეთანხმებას, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით.

როდესაც სესხების და სხვა სავალო ინსტრუმენტების შეგროვება საეჭვო ხდება, ისინი ჩამოიწერება, რათა წარმოადგინონ ფულადი სახსრების მოზღვაგების სავარაუდო ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ამის შემდეგ ფიქსირდება მიმდინარე ღირებულების დისკონტის ჩათვლისთვის, დამყარებული აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც იყო გამოყენებული გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლები ზოგადად ფიქსირდება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული გარიგების დასრულებაზე მითითებით, რეალური მომსახურების გაწევის საფუძველზე შეფასებულს, როგორც მთლიანი გასაწევი მომსახურების ნაწილი.

საკომისიოები და გასამრჯელოები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებიდან ან მესამე მხარისთვის გარიგებაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ., სესხის, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა ან ბიზნესის ყიდვა-გაყიდვა, რომლებიც მიიღება საბაზისო გარიგების შესრულებისას, ფიქსირდება მისი დასრულებისას. პორტფელის და მენეჯმენტის სხვა საკონსულტაციო და მომსახურების გასამრჯელოები აღიარდება მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ, დროის პროპორციულად. აქტივის მართვის გასამრჯელოები, რომლებიც ეხება საინვესტიციო ფინანსებს, ფიქსირდება პერიოდში გაწეული მომსახურების პროპორციულად. იგივე პრინციპი გამოიყენება ქონების მართვისთვის, ფინანსური დაგეგმვისთვის და შენახვის მომსახურებისთვის, რომლებიც განუწყვეტლივ მიეწოდება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

**უცხოური ვალუტის გადაფასება.** ბანკის ფუნქციონალური ვალუტა და ბანკის საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება ყოველი ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის

ოფიციალური კურსით საბალანსო ანგარიშის შესაბამის დღეს. უცხოური ვალუტის გადაფასების მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გარიგებების შესრულებიდან, და მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებისან ყოველი ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში სეზონის ოფიციალური სავალუტო კურსით წლის ბოლოს აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასება კურსზე წლის ბოლოს არ გამოიყენება არამონეტარული მუხლების მიმართ, საკუთარი კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით. სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი საკუთარი კაპიტალის ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე ფიქსირდება, როგორც მოგების ან ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

2009 წლის 31 დეკემბერს ძირითადი სავალუტო კურსი, გამოყენებული უცხოური ვალუტის ბალანსების გადასათვლელად, იყო: USD=1.6858 (2008 წ: USD 1=1,667).

**ჩათვლა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და სუფთა თანხა მოიყვანება საბალანსო ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის აღიარებული თანხების ჩათვლის სამართლებრივი სანქციით უზრუნველყოფილი უფლება, და არის განზრახვა ან დარეგულირდეს წმინდა ბაზისზე ან მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ერთიანად დაიფაროს ვალდებულება.

**ხარჯები პერსონალზე.** ხელფასები, ანაზღაურება, საქართველოს სახელმწიფო საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში განხორციელებული შენატანები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის ბიულეტენი, ბონუსები, და არა-მონეტარული ბენეფიტები გროვდება იმ წელიწადში, რომელშიც შესაბამისი სერვისები აღმოჩენილია ბანკის თანამშრომლების მიერ.

#### **4. კრიტიკული საანგარიშგებო შეფასებები და განსჯები ანგარიშგების პოლიტიკის გამოყენებაში**

ბანკის მენეჯმენტი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბანკის რეპორტირებულ აქტივებზე და ვალდებულებებზე მომდევნო ფინანსურ პერიოდში. შეფასებები და განსჯები უწყვეტლივ ფასდება და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც გონივრულია აღნიშნულ გარემოებებში. მენეჯმენტი აგრეთვე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს, გარდა იმისა, რაც ეხება შეფასებას, ანგარიშგების პოლიტიკის გამოყენების პროცესში. დასკვნები, რომლებიც დიდ და მნიშვნელოვან ეფექტს ახდენენ ფინანსურ ანგარიშებში და შეფასებებში აღიარებულ თანხებზე, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელიწადში, შემდეგია:

**სესხების და ავანსების გაუფასურების ზარალი.** ბანკის მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს ბანკის სესხების პორტფელს გაუფასურების განსაზღვრისათვის. იმის განსაზღვრისას, უნდა იყოს თუ არა გაუფასურების ზარალი დაფიქსირებული მოგება-ზარალის

ანგარიში. მენეჯმენტი განიხილავს, არის თუ არა რაიმე საყურადღებო მონაცემი, რომელიც მიუთითებს შეფასებული მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების გასაზომ შემცირებას სესხების პორტფელიდან იქამდე, სანამ ეს შემცირება შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული ინდივიდუალურ სესხთან აღნიშნულ პორტფელში. ეს მტკიცება შეიძლება შეიცავდეს საყურადღებო მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ უარყოფით ცვლილებაზე ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსში, ან ეროვნულ ან ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც შეეფერებიან ბანკის აქტივების შეუსრულებლობასთან. მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის თანხის და დროის შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება, რათა შემცირდეს რაიმე სხვაობები სავარაუდო ზარალსა და ზარალის წარმოქმნის რეალურ პრაქტიკას შორის. დაახლოებით 5%-იანი ზრდა ან შემცირება სავარაუდო ზარალსა და რეალური ზარალის წარმოქმნას შორის შესაბამისად გავლენას ახდენს დამატებით ან შემცირებულ სესხების გაუფასურების დანაკარგების ხარჯზე – 225,916 (2008 წელი: 149,134 ლარი)

**მოქმედი დამოკიდებულება.** 2009 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის ბანკს ჰქონდა სუფთა ზარალი 750,833 ლარის ოდენობით (2008: ზარალი 1,504,239 ლარი). მიუხედავად ამისა როგორც აღნიშნულია შენიშვნაში 23, 2009 წლის 31 დეკემბერს ბანკმა 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში შეძლო აღედგინა დადებითი კუმულაციური ლიკვიდურობა 1,639,441 ლარის ოდენობით, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,970,207 უარყოფით მაჩვენებლთან შედარებით. ბანკის ადმინისტრაცია ამჟამად აფასებს მის 2010 წლის ბიუჯეტს, და ვარაუდობს, რომ ბანკი 2010 წელსაც ზარალიანი იქნება.

თუმცა გლობალურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ახალი ან გახანგრძლივებული სესხების მიღების შესაძლებლობაზე სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, სადაც კი ის ხელმისაწვდომია, ფინანსირების ღირებულება ჩვეულებრივ გაიზარდა, მენეჯმენტი აქტიურად მართავს ამ პოზიციას და სჯერა, რომ ბანკი მოიზიდავს საკმარის რესურსებს მისი მაკონტროლებელი ბანკიდან იმისათვის, რომ გააგრძელოს მისი მიმდინარე ვალდებულებების შესრულება, როდესაც მათი გადახდის ვადა დადგება.

ანგარიშის გამოშვების თარიღზე, ბანკმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მისი მაკონტროლებელი ბანკიდან, რომელშიც გამოხატულია მისი უნარი და განზრახვა გააგრძელოს ფინანსური მხარდაჭერა მომდევნო 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, მენეჯმენტმა მოამზადა ეს ფინანსური ანგარიში მოქმედი ურთიერთობის საფუძველზე.

**დაკავშირებულ პირებთან გარიგებების საწყისი აღიარება.** ბიზნესის ნორმალურ მსვლელობაში ბანკი შედის გარიგებებში მისთან დაკავშირებულ პირებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. დასკვნა გამოიყენება იმის განსაზღვრაში, არიან თუ არა გარიგებები შეფასებული საბაზრო ან არა-საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, როდესაც ასეთი გარიგებებისათვის არ არის აქტიური ბაზარი. ამ დასკვნის საფუძველია არა-დაკავშირებულ პირებთან გარიგებების ანალოგიური ტიპების ფასწარმოქმნა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

## 5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ეფექტური გახდა ბანკისათვის 2009 წლის 1 იანვრიდან:

**IFRS 8, საოპერაციო სეგმენტები.** ეს სტანდარტი გამოიყენება ისეთი ეკონომიკური სუბიექტების მიმართ, რომელთა ვალით ან საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით ვაჭრობა ხდება საზოგადოებრივ ბაზარზე ან რომლებიც სარეგულაციო ორგანიზაციას აწვდიან ფინანსურ ანგარიშს ან იმყოფებიან ანგარიშის მიწოდების პროცესში საზოგადოებრივ ბაზარზე ინსტრუმენტების რაიმე კლასის გამოშვების მიზნით. IFRS 8 მოითხოვს, რომ ეკონომიკურმა სუბიექტმა შეატყობინოს ფინანსური და აღწერითი ინფორმაცია მის საოპერაციო სეგმენტებზე, რომელიც დაფუძნებულია იგივე პრინციპზე, რას გამოიყენება შიდა ანგარიშგების მიზნებისათვის. ბანკს არ სჭირდება წარადგინოს სეგმენტური ანგარიშგება.

**IAS 23, ხარჯები სესხებზე - შესწორებულია 2007 წლის მარტში;** IAS 23-ის მთავარი ცვლილება სესხებზე ხარჯების უშუალო კაპიტალიზაციის ოფციის გაუქმებაა, რომელიც ეხება აქტივებს, რომლებსაც სჭირდებათ არსებითი დრო იმისათვის, რომ გახდენ მზად გამოყენების ან გაყიდვისათვის. ეკონომიკურმა სუბიექტმა უნდა მოახდინოს სესხებზე ხარჯების, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილის, კაპიტალიზაცია. ეს შესწორებული სტანდარტი გამოიყენება სავარაუდო სესხის ხარჯების მიმართ, რომლებიც ეხება კვალიფიციურ აქტივებს, რომლებისთვისაც კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება 2009 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით. ეს სტანდარტს აღიქმება, როგორც ხარჯების ეფექტური საპროცენტო მეთოდი.

**IAS 1, ფინანსური ანგარიშების წარდგენა შესწორებული 2009 წლის სექტემბერს.** IAS 1-ის მთავარი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ მოგება-ზარალის ანგარიში შეცვლილია ამომწურავი მოგების ანგარიშით, რომელიც აგრეთვე შეიცავს ყველა არამფლობელის შეცვლას საკუთარ კაპიტალში, ისეთს როგორც სარეალიზაციო ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასება. ალტერნატიულად, ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა მიეცეს ნებართვა წარმოადგინონ ორი ანგარიში: ცალკე მოგება-ზარალის ანგარიში და გაერთიანებული შემოსავლის ანგარიში. ანკს არჩეული აქვს, რომ წარადგინოს მხოლოდ ამომწურავი მოგების ანგარიში. შესწორებულ IAS-1 აგრეთვე შემოაქვს მოთხოვნა წარმოადგინონ ფინანსური მდგომარეობის ანგარიში (საბალანსო ანგარიში) ყველაზე ადრეული შედარებითი პერიოდის დასაწყისში, როდესაც ეკონომიკური სუბიექტი კვლავ წარადგენს შედარებებს, განპირობებულს ხელახალი კლასიფიკაციით, ანგარიშგების პოლიტიკის ცვლილებით, ან შეცდომების შესწორებით. შესწორებულ IAS-1 გავლენას ახდენს ბანკის ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე და არ ახდენს გავლენას ბალანსისა და ტრანზაქციების აღიარებაზე და შეფასებაზე.

პროფესიული გასამრჯელო	10	184,880	81,863
დაცვის ხარჯები		182,616	85,208
იჯარის გადასახადის ხარჯები		162,409	118,360
სხვა გადასახადი, გარდა მოგების გადასახადისა		144,989	141,934
შენიშვნების და აღჭურვილობის ამორტიზაცია		75,572	84,614
საკომუნიკაციო ხარჯები		27,472	16,148
საგამომცემლო და საკანცელარიო ხარჯები	10	22,119	12,947
კომუნალური მომსახურების ხარჯები		20,354	2,601
სამიველინებო ხარჯები		20,060	13,584
აღჭურვილობის რემონტის და მოვლის ხარჯები		13,857	26,153
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		14,030	17,621
დაზღვევის ხარჯები		11,430	23,278
სხვა ხარჯები		187,917	62,988
<b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b>		<b>2,011,945</b>	<b>1,547,607</b>

**22. საშემოსავლო გადასახადები**

ხარჯები საშემოსავლო გადასახადებზე შეადგენენ შემდეგს:

<i>ქართულ ლარებში</i>	2009	2008
მიმდინარე გადასახადი	-	30,159
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი	-	-
<b>საშემოსავლო გადასახადის ხარჯი</b>	<b>-</b>	<b>30,159</b>

ანკის შემოსავლების უმეტესობის მიმართ გამოყენებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15% (2008წ- 15%). ქვემოთ მოცემულია შეთანხმება მოსალოდნელ და ფაქტიურ საგადასახადო დარიცხვებს შორის.

<i>ქართულ ლარებში</i>	2009	2008
<b>IFRS ზარალი გადასახადებამდე</b>	<b>(750,832)</b>	<b>(1,474,080)</b>

გადასახადის თეორიული დარიცხვა კანონით დადგენილი განაკვეთით (2008 წ: 15%)	112,623	221,112
საგადასახადო განაკვეთის ცვლილების ეფექტი	(4,234)	(2,415)
არ-არალიარებული პოტენციური გადავადებული საგადასახადო აქტივი	(108,389)	(218,697)
<b>წლის მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>-</b>	<b>30,159</b>

ბანკს აქვს არალიარებული პოტენციური გადავადებული საგადასახადო აქტივი წინ გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის მიმართ 187,459 ლარის ოდენობით (2008 წ: 111,368 ლარი) და დასაბეგრი გარდამავალი სხვაობები 203,971 ლარი (2008 წ: 171,674 ლარი).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ბიზნესის და კაპიტალის ზარალი შეიძლება იყოს გადატანილი წინ 5 წლამდე. საგადასახადო ეფექტი იმ ხარჯების, რომლებიც არ ექვემდებარება დაქვითვას, შეადგენს 4,327 ლარს, რასაც იხდის ბანკი როგორც საშემოსავლო გადასახადის წინასწარ გადახდას 2009 წლის განმავლობაში. 2008 წლის 31 დეკემბერს ოფიციალურად შემოდებული ახალი კანონმდებლობის თანახმად, ბანკს არ შეუძლია ამ წინასწარი გადახდის გამოყენება იმ საშემოსავლო გადასახადების მიმართ, რომლებიც დაგროვდება მომავალ მოგებაზე. ამიტომ, ბანკმა გადაწყვიტა ჩაერთო ეს წინასწარი გადახდა მოგების და ზარალის ანგარიშში. კანონით დადგენილი გადასახადის განაკვეთი შეიცვალა 15%-მდე 2009 წლის 1 იანვრიდან (2008 წ: 15%).

IFRS-ის და საქართველოს კანონით დადგენილი საგადასახადო წესებს შორის განსხვავებამ გამოიწვია აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების გარდამავალი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი ამ დროებითი სხვაობების მოძრაობის საგადასახადო ეფექტი და დაფიქსირებულია 15%-იან განაკვეთზე.

<i>ქართულ ლარებში</i>	2008 წლის 31 დეკემბერი	დაფიქსირებულ ი მოგება-ზარალში	2009 წლის 31 დეკემბერი
<b>გადასახადს დაქვემდებარებული გარდამავალი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>			
გადავადებული საგადასახადო ზარალი	111,368	76,091	187,459
დარიცხული პროფესიული საკომისიო ქონების გაუფასურება	13,069	1,310	14,379
ქონების გაუფასურება	58,759	34,660	93,419
შენიშვნების და აღჭურვილობის ამორტიზაცია	(14,785)	2,386	(12,399)
სესხის გაუფასურების რეზერვი	99,915	-	99,915
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი სხვა	(6,575)	160	(6,415)
	21,290	(6,218)	15,072
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>304,401</b>	<b>1,857</b>	<b>411,514</b>
<b>ალიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>21,360</b>	<b>-</b>	<b>(18,814)</b>
<b>გადადებული საგადასახადო აქტივი - არალიარებული</b>	<b>283,041</b>	<b>108,389</b>	<b>391,430</b>
<i>ქართულ ლარებში</i>	2007 წლის 31 დეკემბერი	დაფიქსირებულ ი მოგება-ზარალში	2008 წლის 31 დეკემბერი

<b>გადასახადს დაქვემდებარებული გარდამავალი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>			
გადავადებული საგადასახადო ზარალი	76,672	34,696	111,368
დარიცხული პროფესიული საკომისიო	11,682	1,387	13,069
ქონების გაუფასურება	-	58,759	58,759
რეზერვი პოტენციური ჯარიმებზე	8,330	(8,330)	-
შენიშვნების და აღჭურვილობის	(6,568)	(8,217)	(14,785)
ამორტიზაცია	(25,772)	125,687	99,915
სესხის გაუფასურების რეზერვი	-	(6,575)	(6,575)
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	21,290	21,290
სხვა			
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>96,684</b>	<b>-</b>	<b>304,401</b>
<b>აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>(32,340)</b>	<b>-</b>	<b>(21,360)</b>
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი - არაღიარებული</b>	<b>64,344</b>	<b>218,697</b>	<b>283,041</b>

იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ ბანკს ექნება მომავალი გადასახადს დაქვემდებარებული მოგება იმისათვის, რომ შეძლოს გამოიყენოს გადავადებული საგადასახადო ზარალი, როგორც ახლად ჩამოყალიბებულმა ორგანიზაციამ, ადმინისტრაცია თვლის, რომ ჯერ არ აქვს დამაჯერებელი მტკიცება, რომელიც შეძლებდა საკმარისი გადასახადს დაქვემდებარებული მოგების ხელმისაწვდომობის დამტკიცებას, რომლის მიმართ შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელობა გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოსათვლელად. იხ. 4 შენიშვნა.

### 23 ფინანსური რისკის მართვა

ბანკს აქვს მიდრეკილება ფინანსური რისკებისადმი, რომლებიც შეიცავენ საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო და საოპერაციო რისკებს. რისკის მიღება საბანკო ბიზნესისგან განუყოფელია. ბანკის რისკის მართვის ფუნქციის მიზანია სათანადო ბალანსის მიღწევა რისკსა და ამონაგებს შორის და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლო უარყოფითი ეფექტების მინიმუმამდე დაყვანა.

**საკრედიტო რისკი.** საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ კლიენტი ან შემხვედრი მხარე სათანადო დროს ვერ შეძლებს თავისი ვალდებულების კონტრაქტით შესრულებას. საკრედიტო რისკის ძირითადი ნაწილი წარმოიქმნება ბანკის სესხებიდან, კლიენტებისთვის გაცემული ავანსებიდან და გარებალანსური კრედიტის დაუცველობიდან. რისკის ანგარიშგების მიზნებისათვის ბანკი განიხილავს და კონსოლიდირებას ახდენს საკრედიტო რისკისკენ მიდრეკილების ყველა ელემენტზე, ისეთისა როგორცაა ინდივიდუალური კლიენტის და შემხვედრი მხარის გადაუხდელობის რისკი და ინდუსტრიული რისკი.

ბანკმა ჩამოაყალიბა საკრედიტო კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალურ მსესხებლებისათვის კრედიტების ლიმიტის დამტკიცებაზე:

- მაკონტროლებელი ბანკი იხილავს და ამტკიცებს ყველა 1,000,000 დოლარზე მეტ თანხას. ის აგრეთვე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის გამოშვებაზე ბანკის საკრედიტო კომიტეტებისათვის ყველა სხვა სესხის მიმართ;
- ბანკის საკრედიტო კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს კრედიტებს 1,000,000 დოლარზე ნაკლებს. საკრედიტო კომიტეტი იკრიბება ყოველკვირეულად.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების პორტფელის დაყოფა ეკონომიკის და პროდუქტების სექტორებზე მოცემულია შენიშვნაში 8.

საკრედიტო რისკისკენ მიდრეკილება აგრეთვე ფასდება და იმართება, ნაწილობრივ, უზრუნველყოფის მიღებით, საკუთრებაზე იპოთეკური პროცენტების სახით, აქტივების და ფასიანი ქაღალდების დაგირავების და სხვა უზრუნველყოფის, კორპორაციული და პერსონალური გარანტიების კონტროლით და მონიტორინგით.

თუმცა უზრუნველყოფა არის მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ფაქტორი საკრედიტო რისკის შეფასებაში, ბანკის პოლიტიკაა დაადგინოს, რომ კლიენტი სესხების გადახდის უნარი აქვს, და არ ენდოს უბრალოდ მხოლოდ გარანტიას. უზრუნველყოფა განიხილება როგორც გადახდის მეორადი წყარო. განსაზღვრულ შემთხვევებში, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ან პროდუქტის ან თანხების ტიპის მიხედვით, კრედიტი შეიძლება იყოს დაუცველი.

**საკრედიტო რისკისკენ მაქსიმალური მიდრეკილება.** ბანკის საბალანსო ანგარიშის საკრედიტო რისკისკენ მაქსიმალური მიდრეკილება ზოგადად აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში საბალანსო ანგარიშზე, გარდა კლიენტებისათვის მიცემული სესხებისა და ავანსებისა. კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების საკრედიტო რისკისკენ მაქსიმალური მიდრეკილება განიღულია შენიშვნაში 8. აქტივების და ვალდებულებების ურთიერთხათვის შესაძლო ზემოქმედება პოტენციური საკრედიტო მიდრეკილების შემცირებაზე უმნიშვნელოა.

ბალანსის გარეშე სტატიების საკრედიტო რისკი ფასდება ისევე, როგორც საბალანსო სტატიებისათვის. ბანკის მაქსიმალური მიდრეკილება ბალანსის გარეშე საკრედიტო რისკისკენ ასახულია შენიშვნაში 26 “გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები”.

გარეგანსური ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განისაზღვრება, როგორც ზარალის შესაძლებლობა ფინანსური ინსტრუმენტის სხვა მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების შეუძლებლობის შედეგად. ბანკი იყენებს ისეთივე საკრედიტო პოლიტიკას, როდესაც აკეთებს პირობით ვალდებულებებს, როგორც ის აკეთებს საბალანსო ანგარიშის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დადგენილი კრედიტზე თანხმობის, რისკის კონტროლის ღონისძიებების და მონიტორინგის პროცედურების მეშვეობით.

**საბაზრო რისკი.** ბანკი იღებს თავის თავზე საბაზრო რისკს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებისგან (ა) ვალუტაში, (ბ) საპროცენტო განაკვეთში და (გ) საკუთარი კაპიტალის პროდუქტებში; ყველა ისინი მიდრეკილია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო მოძრაობებისკენ. მენეჯმენტის საბაზრო რისკის მართვის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეზღუდოს და შეამციროს შესაძლო ზარალის თანხა ღია საბაზრო პოზიციებიდან, რომლებიც შეიძლება განიცადოს ბანკმა სავალუტო კურსის და საპროცენტო განაკვეთის რისკის უარყოფითი ცვლილებების გამო. მენეჯმენტი ადგენს დასაშვებ ღონისძიებებს რისკის მნიშვნელობაზე და ახდენს მის ყოველდღიურ მონიტორინგს. ამჟამად მენეჯმენტი ახდენს რისკის დონის ფორმალიზებას, რომელიც შეიძლება იყოს მიღებული ბანკის მიერ, რადგან ოპერაციების მოცულობა იზრდება, სანამ ეს ღონისძიებები არ იქნება დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკის მიმართ მენეჯმენტი ვალუტის მიხედვით ადგენს ღონისძიებებს რისკის მიდრეკილების დონეზე და ჯამში როგორც დღე-ღამის, ასევე დღის პოზიციებისთვის, რომელთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხდება. ქვემოთ მოცემული ტაბულა აჯამებს ბანკის უცხოური ვალუტის სავალუტო კურსის ცვლილების რისკისადმი მიდრეკილებას.



ბანკის უცხოური ვალუტის სავალუტო კურსის ცვლილების რისკისადმი მიდრეკილება 2009 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარებში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	საღლო ანგარიშის პოზიცია
GEL	6,182,227	3,871,767	2,331,040
USD	26,423,224	24,332,843	2,090,381
EURO	36,131,940	38,947,9720	(2,815,980)
<b>სულ</b>	<b>68,737,391</b>	<b>67,151,950</b>	<b>1,585,441</b>

ბანკის უცხოური ვალუტის სავალუტო კურსის ცვლილების რისკისადმი მიდრეკილება 2008 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარებში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	საღლო ანგარიშის პოზიცია
GEL	9,560,794	3,811,000	5,749,794
USD	17,682,000	18,569,001	(887,001)
EURO	2,937,000	5,657,00	(2,720,000)
<b>სულ</b>	<b>30,179,794</b>	<b>28,037,001</b>	<b>2,142,793</b>

ზემოთ მოყვანილი ანალიზი შეიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებს და ვალდებულებებს. არა-მონეტარული აქტივები არ განიხილებიან როგორც მატერიალური სავალუტო რისკის მომტანი.

ბანკს აქვს პროცედურები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის:

- იმის უზრუნველყოფა და მონიტორინგი, რომ ღია სავალუტო პოზიციები იმ ზღვარზე ნაკლებია, რაც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რაც შეადგენს ფიქსირებული საზედამხედველო კაპიტალის 20%;

- სავალუტო რისკის ზღვრების გამოთვლა სამუშაო დღის განმავლობაში და აგრეთვე ყოველი დღის ბოლოს; და

- როდესაც ღია სავალუტო პოზიციები არ არის დაბალანსებული, ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეუდგეს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც დააბალანსებენ ღია სავალუტო პოზიციებს. ამ ქმედებებს აუცილებელს ხდის მენეჯმენტის მოთხოვნა.

ბანკი გასცემს სესხებს და ავანსებს, დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში. მოგების ნაკადის და მსესხებლის ხარჯების სტრუქტურის მიხედვით ვალუტების, რომლებშიც სესხები და ავანსები გაიცემა, შესაძლო რევალვაციას ქართულ ლართან მიმართებაში, შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მსესხებლის გადახდის უნარიანობაზე და ამიტომ გაზარდის მომავალი სესხის ზარალის პოტენციალი.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს მოგების და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძობიარობას სავალუტო კურსის გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, გამოყენებულს საბალანსო ანგარიშის თარიღზე, თუ ყველა სხვა ცვლადს კონსტანტად ჩავთვლით:

	2009 წლის 31 დეკემბერს	2009 წლის 31 დეკემბერს	2008 წლის 31 დეკემბერს	2008 წლის 31 დეკემბერს
ქართულ ლარებში	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა სამართლიან ღირებულებაზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა სამართლიან ღირებულებაზე
აშშ დოლარის გამაგრება 10%-ით	209,038	209,038	(88,700)	
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(209,038)	(209,038)	88,700	

ევროს გამაგრება 5%-ით	(140,799)	(140,799)	(136,000)	(
ევროს დასუსტება 5%-ით	140,799	140,799	136,000	)

თუ არ ჩავთვლით ბანკის მოგებაზე ან ზარალზე მოქმედების ამ შედეგს, სავალუტო კურსის ასეთ ცვლილებებს ბანკის საკუთარ კაპიტალზე სხვა არავითარი ზემოქმედება არ აქვს.

რისკისადმი მიდრეკილება იყო გამოთვლილი მხოლოდ მონეტარული ბალანსებისათვის, დენომინირებულს სხვა ვალუტაში, რომელიც განსხვავდება ბანკის შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციონალური ვალუტისგან.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ბანკი იღებს თავის თავზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინირებული დონეების მერყეობის ეფექტების მიმართ რისკის მიდრეკილებას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე. საპროცენტო მარჯები ასეთი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შეიძლება დაეცეს ან გამოიწვიოს ზარალი იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება მოულოდნელი მოძრაობები. მენეჯმენტი ახდენს ყოველდღიურ მონიტორინგს და ადგენს ლიმიტებს საპროცენტო განაკვეთის ხელახალი შეფასების არაშესაბამისობის დონეზე, რომელიც შეიძლება იყოს წამოწეული. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ბანკის მიდრეკილებას საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი. ეს ცხრილი წარმოადგენს ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დაჯგუფებულ თანხებს საბალანსო ღირებულებით, მათი კატეგორიად დაყოფა გაკეთებულია უფრო ადრეული კონტრაქტის განაკვეთის ხელახალი შეფასების ან გადახდის ვადის მიხედვით.

ქართულ ლარებში	უვალო, 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2009 წელი</b>					
მთლიანი ფინანსური აქტივები	54,367,178	6,209,843	1,278,212	6,882,738	68,737,971
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	58,517,686	44,356	160,908	8,429,000	67,151,950
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობიარობის სხვაობა 2009 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,150,508)</b>	<b>6,165,487</b>	<b>1,117,304</b>	<b>(1,546,262)</b>	<b>1,586,021</b>
<b>31 დეკემბერი 2008 წელი</b>					
მთლიანი ფინანსური აქტივები	9,690,794	2,485,000	3,556,000	14,502,000	30,233,794
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	14,144,721	827,680	4,729,600	8,335,000	28,037,001
<b>სუფთა საპროცენტო მგრძნობ-ს სხვაობა 2008 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>(4,453,927)</b>	<b>1,657,320</b>	<b>(1,173,600)</b>	<b>6,167,000</b>	<b>2,196,793</b>

ბანკი ახდენს მისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის მონიტორინგს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს საპროცენტო განაკვეთებს იმ ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც შემოწმებულია მენეჯმენტის მიერ:

წლიური %	2009წ			2008წ		
	GEL	USD	EUR	GEL	USD	EUR

<b>აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	3,0	0,5	0,5	3,0	1,75	1,75
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები - კორპორაციული	17,0	18,7	19,3	16,5	16,5	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები - საცალო პროდუქტები	24,0	18,2	21,1	18,4	18,9	15,0
<b>ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	-	8,0	8,0	-	8,0	-
სუბორდინირებული ვალი	-	9,0	-	-	9,0	-

ნიშანი “-“ ზემოთ მოყვანილ ტაბულაში ნიშნავს, რომ ბანკს არა აქვს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები შესაბამის ვალუტაში.

ბანკის ყველა ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და შესაბამისად ბანკმა ამ წელს არ ჩართო მოგების რაიმე მგრძობიარობის გამხელა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი.

**გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია.** ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 200 წლის 31 დეკემბრისათვის აღწერილია ქვემოთ.

<i>ქართულ ლარებში</i>	<b>საქართველო</b>	<b>ეთგო</b>	<b>არა-ეთგო</b>	<b>სულ</b>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1,896,015	35,824	48,731,681	50,663,520
რეგულირების სავალდებულო რეზერვი სებ-ში	516,736	-	-	516,736
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	17,533,321	-	-	17,533,321
ინვესტიციები სარეალიზაციო ფასიან ფალაღებში	54,000	-	-	54,000
სხვა ფინანსური აქტივები	24,394	-	-	24,394
<b>მთლიანი ფინანსური აქტივები</b>	<b>20,024,466</b>	<b>35,824</b>	<b>48,731,681</b>	<b>68,791,971</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	16,858	-	6,594,861	6,611,719
კლიენტის მიმდინარე ანგარიშები	51,819,425	-	158,198	51,977,623
სუბორდინირებული ვალი	-	-	8,429,000	8,429,000
სხვა ფინანსური ვალდებულებები	89,765	-	43,843	133,608
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>51,926,048</b>	<b>-</b>	<b>15,225,902</b>	<b>67,151,950</b>
<b>სუფთა საბალანსო პოზიცია</b>	<b>(31,901,582)</b>	<b>35,824</b>	<b>33,505,779</b>	<b>1,640,021</b>
<b>კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>	<b>808,238</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>808,238</b>
<b>საგარანტიო წერილები</b>	<b>10,468,087</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>10,468,087</b>

ქვემოთ აღწერილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2008 წლის 31 დეკემბრისათვის.

<i>ქართულ ლარებში</i>	<b>საქართველო</b>	<b>ეთგო</b>	<b>არა-ეთგო</b>	<b>სულ</b>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2,570,033	35,582	2,057,672	4,663,287
რეგულირების სავალდებულო რეზერვი სებ-ში	718,020	-	-	718,020
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	24,762,328	-	-	24,762,328
ინვესტიციები სარეალიზაციო ფასიან ფაქტორებში	54,000	-	-	54,000
სხვა ფინანსური აქტივები	36,159	-	-	36,159
<b>მთლიანი ფინანსური აქტივები</b>	<b>28,140,540</b>	<b>35,582</b>	<b>2,057,672</b>	<b>30,233,794</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	2,777,636	-	7,232,525	10,010,161
კლიენტის მიმდინარე ანგარიშები	9,503,199	-	-	9,503,199
სუბორდინირებული ვალი	-	-	8,335,000	8,335,000
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,555	4,062	177,024	188,641
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>12,288,390</b>	<b>4,062</b>	<b>15,744,549</b>	<b>28,037,001</b>
<b>სუფთა საბალანსო პოზიცია</b>	<b>15,852,150</b>	<b>31,520</b>	<b>(13,686,877)</b>	<b>2,196,793</b>
<b>კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები</b>	<b>5,201,006</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>5,201,006</b>
<b>საგარანტიო წერილები</b>	<b>4,606,711</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>4,606,711</b>

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები ძირითადად დამყარებულია ქვეყანაზე, რომელშიც მდებარეობს შემხვედრი მხარე. საღარიბოში ნაღდი ფულის ნაშთი და შენობები და აღჭურვილობა განაწილებულია იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფებიან.

**სხვა რისკის კონცენტრაცია.** მენეჯმენტი საკრედიტო რისკის კონცენტრაციის მონიტორინგს და აღიარებას ახდენს, იმით რომ იღებს სხვადასხვა ანგარიშებს, რომლებიც ეხება სესხებს. 2009 წლის 31 დეკემბერს ბანკს არ გააჩნდა ასეთი რისკის რაიმე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კონცენტრაციას რაოდენობრივი მონაცემების შეფასებით რისკისადმი მისი მიდრეკილების შესახებ საანგარიშო თარიღზე. ეს გამხელა ეყრდნობა ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ბანკის შიგნით წამყვან ხელმძღვანელ პერსონალს და შეიცავს, მაგალითად, ისეთი რისკების კონცენტრაციის აღმოჩენას, როგორცაა სავალუტო, საკრედიტო და საპროცენტო.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი განისაზღვრება როგორც იმის რისკი, რომ ორგანიზაცია შეხვედება სირთულეს ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში. ბანკის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე ყოველდღიური მოთხოვნებია კლიენტის ანგარიშებიდან და გარანტიებიდან. ბანკი არ ინარჩუნებს ფულად რესურსებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ყველა ეს საჭიროება, რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ გადახდას დაქვემდებარებული ფონდების რეინვესტირების

მინიმალური დონის პროგნოზირება შესაძლებელია საიმედოობის მაღალი დონით. ლიკვიდურობის რისკს მართავს ბანკის აქტივების და პასივების კომიტეტი.

ბანკი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც მოიცავს უპირველესად თანხებს, რომლებიც ერგება სხვა ბანკებს, კორპორაციულ და საცალო კლიენტურის დეპოზიტებს და აბანდებს ფინანსებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, იმისათვის რომ შეეძლოს სწრაფად და დაუბრკოლებლად უპასუხოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს.

ბანკის ლიკვიდურობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების დონის განხილვას, რომლებიც საჭიროა ვალდებულებების გადახდისათვის, როდესაც მათი გადახდის ვადა დადგება; ფინანსირების რიგ წყაროში შეღწევა შეინარჩუნოს; შეინარჩუნოს გაუთვალისწინებელი ფინანსირების გეგმა და მოახდინოს საბალანსო ანგარიშის მონიტორინგი ლიკვიდურობის ფარდობის სარეგულაციო მოთხოვნების მიმართ. ბანკი ყოველთვიურად გამოითვლის ლიკვიდურობის ფარდობას საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების თანახმად. ეს ფარდობა, რომლის მონიტორინგი ხდება, არის ლიკვიდურობის კოეფიციენტი; ის გამოითვლება როგორც მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივების შეფარდება იმ ვალდებულებებისადმი, რომლებიც გადაიხდება მოთხოვნით (მათ შორის ბალანსის გარეშე ვალდებულებებისა, რომელთა ვადა 6 თვეზე ნაკლებია). და უდრის 38.11% 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2008 წ: 23.25%).

სებ-ის მიერ დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით, ბანკი გამოითვლის მყისიერ ლიკვიდურობას, როგორც დღიური საშუალო ლიკვიდური აქტივების ფარდობას დღიური საშუალო ლიკვიდური ვალდებულებების მიმართ. ეს ფარდობა გამოითვლება იმ ბალანსებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოიყვანება კანონით დადგენილი ბანკის ფინანსური ანგარიშებიდან.

სებ-ს აქვს დადგენილი საჭირო ლიკვიდურობის მინიმალური დონეები. 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ბანკი შეესაბამებოდა ყველა ამ მუხლს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2009 წლის 31 დეკემბრისათვის მათი დარჩენილი კონტრაქტული ვადების მიხედვით. ეს თანხები, აღიარებული ვადების ცხრილში, არიან კონტრაქტული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები და ბრუტო სესხის ვალდებულებები.

როდესაც გადასახადი თანხა არ არის ფიქსირებული, აღიარებული თანხა განისაზღვრება იმ პირობებზე მითითებით, რომლებიც არსებობდა საანგარიშო თარიღზე. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაითვლება “სპოტ” სავალუტო კურსის გამოყენებით საბალანსო ანგარიშის თარიღზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2009 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარებში	უვადო 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	12 თვე -5 წელი	სულ
----------------	-----------------------------	---------	----------	-------------------	-----

<b>ვალდებულებები</b>					
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	6,611,719	-	-	-	6,611,719
კლიენტის ანგარიშები	51,816,715	-	160,908	-	51,977,623
სუბორდინირებული ვალი	77,266	386,330	463,596	11,210,570	12,137,762
სხვა ფინანსური ვალდებულებები	89,579	44,356	-	-	133,935
საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	808,238	-	-	-	808,935
საგარანტ. ჭერი-ის ვალდ.	10,468,087	-	-	-	10,468,087
<b>მთლიანი პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე</b>	<b>69,871,604</b>	<b>430,686</b>	<b>624,504</b>	<b>11,270,570</b>	<b>82,137,364</b>

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2008 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

<i>ქართულ ლარებში</i>	უვადო 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	12 თვე -5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	4,452,881	-	5,557,280	-	-	10,010,161
კლიენტის ანგარიშები	9,503,199	-	-	-	8,335,000	9,503,199
სუბორდინირებული ვალი	77,266	386,330	463,596	927,192	11,210,570	13,064,954
სხვა ფინანსური ვალდებულებები	188,641	-	-	-	-	188,641
საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	5,201,006	-	-	-	-	5,201,006
საგარანტ.წერილ.ვალდ.	4,606,711	-	-	-	-	4,606,711
<b>მთლიანი პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე</b>	<b>24,029,704</b>	<b>386,330</b>	<b>6,020,876</b>	<b>927,192</b>	<b>11,210,570</b>	<b>42,574,672</b>

ბანკი არ იყენებს ზემოთ მოყვანილ არადისკონტირებული ვადების ანალიზს ლიკვიდურობის სამართავად, სამაგიეროდ ბანკი ახდენს ვალის მოსალოდნელი ვადების მონიტორინგს, რაც შეიძლება ასე იყოს შეჯამებული 2009 წლის 31 დეკემბერს:

<i>ქართულ ლარებში</i>	უვადო 1 თვეზე ნაკლები	1 - 6 თვე	6 - 12 თვე	12 თვეზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	50,663,520	-	-	-	50,663,520
რეკლამების სავალდებულო რეზერვები სებ-ში	516,736	-	-	-	516,736
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	3,162,528	6,209,843	1,278,212	6,882,158	17,532,741
სხვა ფინანსური აქტივები	24,394	-	-	-	24,394
<b>მთლიანი ფინანსური აქტივები</b>	<b>54,367,178</b>	<b>6,209,843</b>	<b>1,278,212</b>	<b>6,882,158</b>	<b>68,737,391</b>

<b>ვალდებულებები</b>					
ვალდებ.სხვა ბანკების მიმართ	6,611,719		-	-	6,611,719
კლიენტის მიმდ.ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები	51,816,715	-	160,908	-	51,977,623
სუბორდინირებული ვალი	89,252	44,356	-	-	133,608
	-	-	-	8,429,000	8,429,000
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>58,517,686</b>	<b>44,356</b>	<b>160,908</b>	<b>8,429,000</b>	<b>67,151,950</b>
<b>წმინდა სიჭარბე ლიკვიდურობაში 2009 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,150,508)</b>	<b>6,165,487</b>	<b>1,117,304</b>	<b>(1,546,842)</b>	<b>1,585,441</b>
<b>კუმულაციური სიჭარბე ლიკვიდურობაში 2009 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,150,508)</b>	<b>2,014,979</b>	<b>3,132,283</b>	<b>1,585,441</b>	<b>-</b>

თუმცა გლობალურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ახალი ან გახანგრძლივებული სესხების მიღების შესაძლებლობაზე სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, იქ კი, სადაც ის ხელმისაწვდომია, ფინანსირების ღირებულება ჩვეულებრივ გაიზარდა, მენეჯმენტი აქტიურად მართავს ამ პოზიციას და სჯერა, რომ ბანკი მიიღებს საკმარის რესურსებს მისი მაკონტროლებელი ბანკიდან იმისათვის, რომ გააგრძელოს მისი მიმდინარე ვალდებულებების შესრულება, როდესაც მათი გადახდის ვადა დადგება.

ანგარიშგების გამოშვების თარიღზე, ბანკმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მისი მაკონტროლებელი ბანკიდან, რომელშიც გამოხატულია მისი უნარი და განზრახვა გააგრძელოს ფინანსური მხარდაჭერა მომდევნო 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, მენეჯმენტმა მოამზადა ეს ფინანსური ანგარიში მოქმედი ურთიერთობის საფუძველზე. იხ. შენიშვნა 4.

ანალიზი მოსალოდნელი გადახდის თარიღის მიხედვით შეიძლება იყოს შეჯამებული შემდეგნაირად 2008 წლის 31 დეკემბერს:

<i>ქართულ ლარებში</i>	უვადო 1 თვეზე ნაკლები	1 - 6 თვე	6 - 12 თვე	12 თვეზე მეტი	სულ
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და ფულა დი სახსრ-ს ეკვივალენტები	4,663,288	-	-	-	4,663,288
რეგულირების სავალდებულო რეზერვები სებ-ში	718,019	-	-	-	718,019
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	4,273,328	2,485,000	3,556,000	14,448,000	24,762,328
სხვა ფინანსური აქტივები	36,159	-	-	0	36,159
<b>მთლიანი ფინანსური აქტივები</b>	<b>9,690,794</b>	<b>2,485,000</b>	<b>3,556,000</b>	<b>14,448,000</b>	<b>30,179,794</b>

<b>ვალდებულებები</b> ბალდებულებები სხვა ბანკების მიმართ კლიენტის მიმდინარე ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები სუბორდინირებული ვალი	4,452,881	827,680	4,729,600	-	10,010,161
	9,503,199	-	-	-	9,503,199
	188,641	-	-	-	188,641
	-	-	-	8,335,000	8,335,000
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>14,144,721</b>	<b>827,680</b>	<b>4,729,600</b>	<b>8,335,000</b>	<b>28,037,001</b>
<b>წმინდა სიჭარბე ლიკვიდურობაში 2009 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,453,927)</b>	<b>1,657,320</b>	<b>(1,173,600)</b>	<b>6,113,000</b>	<b>2,141,793</b>
<b>კუმულაციური სიჭარბე ლიკვიდურობაში 2009 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,453,927)</b>	<b>(2,796,607)</b>	<b>(3,970,207)</b>	<b>2,142,793</b>	<b>-</b>

აქტივების და ვალდებულებების ვადების და საპროცენტო განაკვეთების დაბალანსება და/ან კონტროლირებადი დაუბალანსება ფუნდამენტურია ბანკის მენეჯმენტისათვის. ბანკისთვის მთლიანად დაბალანსება უზრუნველყოფს ვინაიდან გარიგებები ხშირად გაურკვეველი ვადისა და განსხვავებული ტიპებისაა. დაუბალანსებელი პოზიცია პოტენციურად აძლიერებს მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი. აქტივების და ვალდებულებების ვადები და პროცენტული ვალდებულებების შეცვლის უნარი მისაღები ხარჯით, მათი გადახდის ვადის დადგომისას მნიშვნელოვანი ფაქტორებია ბანკის ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო კურსის ცვლილებებისადმი მისი მიდრეკილების შეფასებაში.

ლიკვიდურობის მოთხოვნები იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს მოთხოვნებს გარანტიებით და სარეზერვო საგარანტიო წერილებით, მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ვალდებულების თანხა, რადგან ბანკი ზოგადად არ ვარაუდობს, რომ მესამე მხარე აიღებს ფინანსებს შეთანხმებით. კრედიტის გაცემის ვალდებულებების მთლიანი გადაუხდელი კონტრაქტული თანხა აუცილებლობით არ წარმოადგენს ნაღდი ფულის მომავალ მოთხოვნებს, რადგან ამ ვალდებულებებიდან მრავალს ვადა გაუვა ან შეწყდება ფინანსირების გარეშე.

#### 24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვაში ბანკის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნები, დაიცვას ბანკის უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ და შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა, რომ მიაღწიოს კაპიტალის ადეკვატურობის ფარდობას მინიმუმ 12%. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ კაპიტალის ადეკვატურობის ფარდობებთან შესაბამისობის მონიტორინგი წარმოებს ყოველთვიურად, მათი კალკულაციის აღმწერ ანგარიშებს განიხილავს და ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი, მთავარი ბუღალტერი და შემდეგ წარედგინება სეპს. კაპიტალის მართვის სხვა ამოცანები ფასდება ყოველწლიურად.



სებ-ის მიერ დაწესებული მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნებით, ბანკებმა უნდა: (ა) შეინარჩუნონ სააქციო კაპიტალის მინიმალური დონე 12.000.000 ლარით; (ბ) შეინარჩუნონ სარეგულაციო კაპიტალის და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ფარდობა (“კანონით დაწესებული კაპიტალის ფარდობა”) დაწესებულ მინიმუმზე 12% ან ამაზე ზევით, და (გ) შეინარჩუნონ 1 რიგის კაპიტალის და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ფარდობა (“1 რიგის კაპიტალის ფარდობა”) დაწესებულ მინიმუმის 8% დონეზე ან ამაზე ზევით. ბანკის მთლიანი კაპიტალი, რომელსაც ბანკი მართავს, ისეთივეა, როგორც კაპიტალის თანხა სებ-ის კანონით დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნით, და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15,020,525 ლარს. (2008 წ- 16,039,245 ლარი)

სებ-ის მიერ დაწესებული მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნებით ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ ფარდობა საზედამხედველო კაპიტალსა და რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს შორის (“კანონით დაწესებული კაპიტალის ფარდობა”) დაწესებულ მინიმალურ დონეზე ზევით. საზედამხედველო კაპიტალი ემყარება ბანკის ანგარიშებს, მომზადებულს საქართველოს ეროვნული ბანკის კანონით დაწესებულ ანგარიშგების სტანდარტებით და შეიცავს:

ქართულ ლარებში	2009 წელი	2009 წელი
<b>1 რიგის კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	12,000,00	12,000,000
გაუნაწილებელი მოგება	(1,504,239)	(429,371)
მინუს: არამატერიალური აქტივები	(124,100)	(101,329)
<b>მთლიანი 1 რიგის კაპიტალი დაქვითვების შემდეგ</b>	<b>10,371,661</b>	<b>11,469,300</b>
<b>2 რიგის კაპიტალი</b>		
მიმდინარე წლის ზარალი	(750,832)	(1,504,239)
რეზერვები	213,868	339,535
სუბორდინირებული ვალი	5,185,830	5,734,650
<b>მთლიანი 2 რიგის კაპიტალი</b>	<b>4,648,866</b>	<b>4,569,946</b>
<b>მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>15,020,527</b>	<b>16,139,246</b>
<b>რისკ-შეწონილი აქტივები:</b>		
საბალანსო	46,174,021	42,621,615
გარეგანსური	11,276,325	9,807,717
<b>მთლიანი რისკ-შეწონილი აქტივები</b>	<b>57,450,346</b>	<b>52,430,332</b>

	2009 წელი	2008 წელი
ძირითადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (1 რიგის)	18.05%	21,88 %
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (1 და 2 რიგის)	26,15%	30,59

მენეჯმენტი თვლის, რომ ბანკი 2009 წლის განმავლობაში შეესაბამებოდა კანონით დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს და აგრეთვე ყველა გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

## 25. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. დროდადრო და ბიზნესის ნორმალურ მსვლელობაში ბანკს წაეყენება პრეტენზიები. საკუთარ შეფასებებზე და ბანკის პროფესიონალების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ბანკის ადმინისტრაცია თვლის, რომ პრეტენზიები არ გამოიწვევენ არავითარ

მატერიალურ ზარალს და, შესაბამისად, არავითარი რეზერვი არ იქმნება ფინანსური ანგარიშების ამ ნაკრებში.

**სებ-ის წესებთან შესაბამისობა.** ბანკი ემორჩილება გარკვეულ კანონით დაწესებულ წესებს, რომლებიც დადგენილია სებ-ის მიერ, და რაც ეხება უპირველესად მის ოპერაციებს. ასეთი წესების შეუსრულებლობას შეუძლია იქონიოს უარყოფითი შედეგები ბანკისთვის, სებ-ის მიერ დაკისრებული ჯარიმის ჩათვლით. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამთავრებული წლის განმავლობაში ბანკი არღვევდა ზოგიერთ ამ წესს.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განიცდის ცვალებად ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ ასეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, გამოყენებული გარიგებების და ბანკის საქმიანობის მიმართ, შეიძლება იყოს დაყენებული საკითხის ქვეშ რელევანტური რეგიონული და სახელმწიფო ხელისუფლებით. საქართველოში მომხდარი უკანასკნელი მოვლენები ბადებს აზრს, რომ საგადასახადო ადმინისტრაციას აქვს უფრო აგრესიული პოზიცია კანონმდებლობის და შესწორებების ინტერპრეტაციაში და შესაძლოა, რომ გარიგებები და საბანკო საქმიანობა, რომელიც არ იყო გაკრიტიკებული წარსულში, შეიძლება დადგეს ეჭვის ქვეშ. ამის შედეგად, მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი შეიძლება იყოს დარიცხული. ფისკალური პერიოდები ღიად რჩება ადმინისტრაციის მიერ გადასახედად გადასახადების მიმართ სამი კალენდარული წლის განმავლობაში, რომლებიც უსწრებენ გადახედვის წელს. გარკვეულ გარემოებებში გადახედვებმა შეიძლება მოიცვან უფრო ხანგრძლივი პერიოდები. ბანკის მენეჯმენტს სჯერა, რომ რელევანტური კანონმდებლობის მის ინტერპრეტაცია სათანადოა და ბანკის საგადასახადო და სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო დებულებები იქნება უზრუნველყოფილი. შესაბამისად, 2009 წლის 31 დეკემბერს პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისათვის არავითარი რეზერვი არ იყო დაფიქსირებული.

**კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები.** 2009 წლის 31 დეკემბერს ბანკს არ გააჩნდა სახელშეკრულებო მატერიალური კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები.

**საოპერაციო იჯარის ვალდებულებები.** ბანკს აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, რომლებიც შეიძლება იყოს ანულირებული, რაც ექვემდებარება გარკვეულ მინიმალურ შეტყობინების პერიოდს. იჯარის მომავალი მინიმალური გადასახადები საოპერაციო იჯარებით შეტყობინების პერიოდის დამთავრებამდე შემდეგია:

ქართულ ლარებში	2009 წლის 31 დეკემბერი	2008 წლის 31 დეკემბერი
არაუგვიანეს 1 წლისა	182,616	85,208
<b>მთლიანი საოპერაციო იჯარის ვალდებულება</b>	<b>182,616</b>	<b>85,208</b>

**კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები.** ამ ინსტრუმენტების უპირველესი მიზანი ისაა, რომ უზრუნველყოს ფინანსების ხელმისაწვდომობა კლიენტის მოთხოვნისთანავე. გარანტიებს, რომლებიც წარმოადგენენ გამოუთხოვად დაზღვევას, რომლის გადასახადებს ბანკი განახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს მესამე მხარეების მიმართ, გააჩნიათ ისეთივე საკრედიტო რისკი, როგორც სესხებს.

ვალდებულებები კრედიტის გაცემაზე წარმოადგენენ კრედიტის გაცემის ნებართვის გამოუყენებელ ნაწილებს სესხების ან გარანტიების ფორმით.

საკრედიტო რისკის მიმართ კრედიტის გაცემის ვალდებულებებზე ბანკი პოტენციურად განიცდის ზარალს ისეთი ოდენობით, რომელიც უდრის მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებს. მაგრამ, ზარალის შესაძლო ოდენობა ნაკლებია ვიდრე მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებები, იმიტომ რომ უმეტესი ვალდებულებები კრედიტის გაცემაზე პირობითია, და დამოკიდებულია კლიენტების მიერ კონკრეტული საკრედიტო სტანდარტების შესრულებაზე. ბანკი ახდენს დროის მონიტორინგს კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვის ვადამდე, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად საკრედიტო რისკის უფრო მაღალი ხარისხი აქვთ, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს. კრედიტებთან დაკავშირებული გადაუხდელი ვალდებულებები შემდეგია:

ქართულ ლარებში	2009 წლის 31 დეკემბერი		2008 წლის 31 დეკემბერი	
	გადაუხდელი თანხა	სამართლიანი ღირებულება	გადაუხდელი თანხა	სამართლიანი ღირებულება
ანულირებადი გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	808,238	-	5,201,006	-
საგარანტიო წერილები	10,468,187	-	4,606,711	-
<b>კრედიტთან დაკავშირებული მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>11,276,325</b>	<b>-</b>	<b>9,807,717</b>	<b>-</b>

გამოუყენებელი საკრედიტო ხაზების და გარანტიების მთლიანი გადაუხდელი კონტრაქტული თანხა აუცილებლობით არ წარმოადგენს მომავალი ფულადი სახსრების მოთხოვნებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან შეწყდეს ფინანსირების გარეშე. კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2009 წლის 31 დეკემბერს უდრის 0-ს. (2008 წ.-0) კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები გამოიხატება ქართულ ლარებში.

**26 ამორტიზირებულ ღირებულებაში გადატანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

ამორტიზირებულ ღირებულებაში გადატანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შემდეგნაირია:

ქართულ ლარებში	2009 წელი		2008 წელი	
	ამორტიზირებული თანხა	სამართლიანი ღირებულება	ამორტიზირებული თანხა	სამართლიანი ღირებულება
<b>ფინანსური აქტივები:</b>				
<b>ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი</b>	50,663,520	50,663,520	4,663,288	4,663,288
<b>კლიენტებისათვის მიცემული სესხები და ავანსები:</b>		12,827,450	19,809,202	19,809,202
კორპორატიული	13,007,116	1,773,162	1,937,056	1,937,056
იპოთეკური	1,797,998	1,257,201	1,887,790	1,887,790
სამომხმარებლო	1,274,810	1,194,334	997,370	997,370
<b>ფიზ.ფირების- სამეწ.საქმიან.</b>	1,211,642			
ფიზიკ.პირების -ავტო-სესხები	241,755	238,416	130,910	130,910
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>	24,394	24,394	36,159	36,159
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები გადატანილი ამორტიზირებულ ღირებულებაში</b>	<b>68,221,235</b>	<b>67,978,477</b>	<b>29,461,775</b>	<b>29,461,775</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>				
<b>-ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ</b>	6,611,719	6,611,719	10,010,161	10,010,161
<b>კლიენტების ანგარიშები:</b>				
-სახელმწიფო ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიშები	-	-	1,983,000	1,983,000
-სხვა იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშები	51,951,117	51,951,117	7,395,240	7,395,240
-ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები	26,506	26,506	124,959	124,959
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	133,608	133,608	188,641	188,641
<b>სუბორდინირებული ვალი</b>	8,429,000	8,429,000	8,335,000	8,335,000
<b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები გადატანილი ამორტიზირებულ ღირებულებაში</b>	<b>67,151,950</b>	<b>67,151,950</b>	<b>28,037,001</b>	<b>28,037,001</b>

სამართლიანი ღირებულება ისეთი თანხაა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცივლოს მიმდინარე გარიგებაში მსურველ მხარეებს შორის, და არა იძულებით გაყიდვის ან ლიკვიდაციის დროს, და მას ყველაზე კარგად აჩვენებს აქტიური კოტირებული საბაზრო ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა ბანკის მიერ ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს, და სათანადო შეფასების მეთოდოლოგიით. მაგრამ შეფასებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას აუცილებლად ესაჭიროება მსჯელობა საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისათვის. საქართველო კვლავ აჩვენებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას ზღუდავენ. საბაზრო კოტირება შეიძლება იყოს მოძველებული ან ასახავდეს აღწერილი საკუთრების გაყიდვის გარიგებებს და ამიტომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ადმინისტრაციამ გამოიყენა მთელი ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

**სესხები და მიღებას დაქვემდებარებული თანხები გადატანილი ამორტიზირებულ ღირებულებაში.** მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ მათი საბალანსო ღირებულებაა. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება ფულადი სახსრების შეფასებულ მომავალ ნაკადს, რომელიც სავარაუდოდ მიიღება დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთზე ახალი ინსტრუმენტებისათვის ისეთივე საკრედიტო რისკით და დარჩენილი ვადით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადაზე და შემხვედრი მხარის საკრედიტო რისკზე და შემდეგია:

ქართულ ლარებში	2009	2008
კორპორაციული სესხები	10%-18% წლიური	10%-20% წლიური
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები – იპოთეკური	16%-22% წლიური	10%-20% წლიური
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები – სამომხმარებლო სესხები	18%-24% წლიური	18%-24% წლიური
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები – მეწარმეები	18%-24% წლიური	16%-24% წლიური
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები – ავტო	18%-28% წლიური	18%-28% წლიური

**ვალდებულებები გადატანილი ამორტიზირებულ ღირებულებაში.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დაფარვის განცხადებული ვადით შეფასებული სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, იყო შეფასებული მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადებზე დაყრდნობით, და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთზე დისკონტირებით, ახალი ინსტრუმენტებისათვის ისეთივე საკრედიტო რისკით და დარჩენილი ვადით. იმ ვალდებულებების სამართლიანი ფასი, რომლებიც გადაიხდება მოთხოვნისთანავე ან შეტყობინების პერიოდის შემდეგ (“ვალდებულებები მოთხოვნამდე”) ფასდება, როგორც თანხა, გადახდილი მოთხოვნით, დისკონტირებული პირველი თარიღიდან, რომელზეც თანხის გადახდა შეიძლება იყოს მოთხოვნილი. იხილეთ შესაბამისი შენიშვნები კლიენტის ანგარიშების, სუბორდინირებული ვალის და სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასებულ სამართლიან ღირებულებებზე. გამოყენებული დისკონტის განაკვეთი ეთანხმებოდა ბანკის საკრედიტო რისკს და აგრეთვე

იყო დამოკიდებული ვალუტაზე და ინსტრუმენტის ვადაზე და იცვლებოდა წლიური 9%-დან 10%-მდე (2007 წ: წლიური 9%-დან 10%-მდე).

## **27. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების შეთანხმება შეფასების კატეგორიებთან**

შეფასების მიზნებისათვის, სტანდარტი IAS39, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - მიაკუთვნებს ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებს: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები. 2009 წლის და 2008 წლის 31 დეკემბერს ყველა ფინანსური აქტივი იყო კლასიფიცირებული, როგორც სესხები და დებიტორული დავალიანება, გარდა სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდებისა. სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდები გადატანილია ღირებულებით.

ბანკის ყველა ფინანსური ვალდებულება გადაიტანება ამორტიზირებულ ღირებულებაში.

## **28. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან**

ზოგადად მხარეები განიხილებიან როგორც დაკავშირებული პირები, თუ ეს მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავსპირებული პირის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

მაკონტროლებელი ბანკი არის ბანკის დაკავშირებული პირი და მაკონტროლებელ ბანკთან გარიგებები და ბალანსები ჩამოყალიბებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში. გარდა ამისა, გარიგებები იმ მხარეებთან, რომელზეც მაკონტროლებელ ბანკს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, შეტანილია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სვეტში “მაკონტროლებელი ბანკის დაკავშირებული პირები”.

გარდა ამისა, იმ ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის აქციონერებს (გარდა მაკონტროლებელი ბანკისა), ეს გარიგებები განხილულია როგორც “სხვა მხარეები”.

2009 წლის 31 დეკემბერს არსებული ბალანსი დაკავშირებულ პირებთან შემდეგი იყო:

ქართულ ლარებში	მაკონტროლ ებელი ბანკი	მაკონტროლებე ლ ბანკთან დაკავშირებული პირები	სხვა პირები
ნოსტრო ანგარიშები (უპროცენტო)	47,677,010	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი თანხა (კონტრაქტის საპროცენტო განაკვეთი: 2007: 12%-18%)ბზე	-	737,605	52,666
კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	-	-
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	4,873,412	-	-
კლიენტის ანგარიშები მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები (უპროცენტო)	-	-	13,798,806
სხვა ფინანს.ვალდებულებები - გადასახდელი მაკონტროლებელი ბანკს-ს	43,819	-	-
სუბორდინირებული ვალი (კონტრაქტის საპროცენტო განაკვეთი: 9%)	8,429,000	-	-

2008 წლის 31 დეკემბერს არსებული ბალანსი დაკავშირებულ პირებთან შემდეგი იყო:

ქართულ ლარებში	მაკონტროლ ებელი ბანკი	მაკონტროლებე ლ ბანკთან დაკავშირებული პირები	სხვა პირები
ნოსტრო ანგარიშები (უპროცენტო)	1,005,770	8,338	-
კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების მთლიანი თანხა (კონტრაქტის საპროცენტო განაკვეთი: 2007: 12%-18%)ბზე	-	1,931,063	1,062,721
კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	-	-
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	5,557,280	1,675,245	-
კლიენტის ანგარიშები მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები (უპროცენტო)	-	75,918	48,340
სუბორდინირებული ვალი (კონტრაქტის საპროცენტო განაკვეთი: 9%)	8,335,000	-	-

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ პირებთან 2009 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის შემდეგი იყო:

ქართულ ლარებში	მაკონტროლებელი ბანკი	მაკონტროლებელი ბანკთან დაკავშირებული პირები	სხვა მაკონტროლებელი
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებიდან და ავანსებიდან სესხის გაუფასურებუს რეზერვი	-	23,231	3,432
საპროცენტო ხარჯი ვალდებულებებზე სხვა ბანკების მომართ	78,332	-	7,467
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ ვალზე	1,205,024	-	-

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ პირებთან 2008 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის შემდეგი იყო:

ქართულ ლარებში	მაკონტროლებელი ბანკი	მაკონტროლებელი ბანკთან დაკავშირებული პირები	სხვა მაკონტროლებელი
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებიდან და ავანსებიდან სესხის გაუფასურებუს რეზერვი	-	17,930	35,836
საპროცენტო ხარჯი ვალდებულებებზე სხვა ბანკების მომართ	101,196	8,774	-
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ ვალზე	599,304	-	-

2009 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის განმავლობაში მენეჯმენტის ანაზღაურებამ - ხელფასმა, დისკრეციულმა ბონუსებმა, და სხვა მოკლევადიანმა ბენეფიტებმა - შეადგინა GEL-274,203 (2008წ. GEL-363,443 )